

**გულის თანდაყოლილი და შეძენილი მანკებით დაავადებულ პაციენტთა
მიერ სამედიცინო დაწესებულების შერჩევაზე მოქმედი ფაქტორები**

ქეთევან ზაიაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
ბიზნესის სკოლაში ჯანდაცვის მენეჯმენტში*

*ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნების შესაბამისად*

სამაგისტრო პროგრამაჯანდაცვის პოლიტიკადამენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თენგიზ ვერულავა,

მედიცინის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

თანახელმძღვანელი: დოქტორანტი მარიამ თურმანაული

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

განაცხადი

”როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ქეთევან ბაიაშვილი

2015 წელი

აბსტრაქტი

შესავალი: ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიხედვით სიკვდილიანობის უდიდესი ნაწილი გამოწვეულია არაგადამდები დაავადებებით, რომელთა დიდი ნაწილი მოდის გულ-სისხლძარღვთა დაავადებებზე. სიკვდილიანობის მიზეზი უმეტეს შემთხვევაში დაკავშირებულია დაგვიანებულ დიაგნოსტიკასა და შესაბამისად დაგვიანებულ მკურნალობასთან. გულ-სისხლძარღვთა დაავადებებიდან მნიშვნელოვან ადგილს იკავებს გულის მანკებით დაავადებულ პაციენტთა რაოდენობა. სამაგისტრო ნაშრომის კვლევის საგანია გულის თანდაყოლილი და შეძენილი მანკებით დაავადებულ პაციენტთა მიერ სამედიცინო დაწესებულების შერჩევაზე მოქმედი ფაქტორები. თეორიული ნაწილის, მოძიებული ინფორმაციის და რეკომენდაციების ანალიზის საფუძველზე. **მეთოდოლოგია:** რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში განხორციელდა გულის თანდაყოლილი და შეძენილი მანკებით დაავადებულ პაციენტთა გამოკითხვა აკ. გ. ჩაფიძის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრში და გ. ინგოროყვას საუნივერსიტეტო კლინიკაში სპეციალური სტრუქტურული კითხვარის მეშვეობით. თვისებრივი კვლევის ფარგლებში დადგინდა ის ინდიკატორები, რომლის მიხედვითაც პაციენტები ირჩევენ სამედიცინო დაწესებულებას დიაგნოსტიკური კვლევის და/ან მკურნალობის მიზნით. კვლევის არეალს წარმოადგენდა ქ. თბილისის ორი კლინიკა: აკ. გ. ჩაფიძის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი და გ. ინგოროყვას საუნივერსიტეტო კლინიკა, რადგან თბილისის მასშტაბით ამ ორ კლინიკასნამდვილად გააჩნია პაციენტების სრულად მართვის რესურსი. **შედეგები, ინტერპრეტაცია:** კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ გულის მანკებით დაავადებული პაციენტების მიმართვიანობის ძირითადი მიზეზები გ. ინგოროყვას სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკის შემთხვევაში იყო მაღალ ტექნოლოგიური ბაზა და ექიმების კვალიფიკაცია, ხოლო აკ. გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრში – აღნიშნული კლინიკის მრავალწლიანი ისტორია (კლინიკის ავტორიტეტი), გამოცდილება და სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაცია. **დასკვნა, რეკომენდაციები:** ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ გულის მანკებით დაავადებული პაციენტების სამედიცინო დაწესებულების მიმართვიანობის მიზეზს ძირითადად განსაზღვრავს კლინიკის ავტორიტეტი (სახელი, გამოცდილება,

მალაკვალიფიციური მედპერსონალი), ვინაიდან კვლევამ აჩვენა, რომ გამოკითხული პაციენტების დიდი ნაწილი თვითონ ირჩევს სამედიცინო დაწესებულებას დიაგნოსტიკური თუ მკურნალობის მიზნით მისი გამოცდილებისა და მალაკვალიფიციური მედპერსონალის გამო. ჩატარებული კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შემუშავებული იქნა შემდეგი რეკომენდაცია: სასურველია ქვეყანაში არსებობდეს შეფასების რეიტინგული სისტემები იმის შესახებ, რომ მოქალაქეს ჰქონდეს სამედიცინო დაწესებულების შერჩევის საშუალება.

ძირითადი საძიებო სიტყვები: გულის მანკი, ჯანდაცვის პოლიტიკა, სამედიცინო დაწესებულების შერჩევის ფაქტორები.

Abstract

Introduction: According to the World Health Organization the greatest part of mortality is caused by nontransitive diseases the most part of which comes oncardiovascular diseases. The cause of mortality most often is associated with delayed diagnosis and accordingly with the delayed treatment. The important part of Cardiovascular diseases is number of patients with heart defects.The research subject of the Master's thesis is the factors affectingthe process of choosing of medical institution by the patients with congenital and acquired heart defects on the basis of analysis of the theory, the acquired information and the recommendations. **Methodology:** In the range of quantitative research was carried out poll of the patients with congenital and acquired heart defects in Acad. G. ChapidzeEmergency Cardiology Centre and G. Ingorokva University Clinic using the specially structured questionnaire.In the range of qualitative research were established those indicators according to which the patients choose medical institutions for diagnostic and/or therapeutic purposes. The area of research was two clinics in City Tbilisi: Acad. G. ChapidzeEmergency Cardiology Centre and G. Ingorokva University Clinicas these clinics really have the resources for full control of the patients.**Results, Interpretation:**The research results revealed that the main reasons for the referral of the patients with heart defects toG. Ingorokva University Clinic was the high-tech base and qualifications of the physicians, while to the Acad. G. Chapidze Emergency Cardiology Centrewas the long history of this clinic (authority of the hospital), experience and qualifications of medical staff.**Conclusions, recommendations:** The conducted researchrevealed that the reasons for referral of the patients with heart defectsto the medical institutions are mainly determined by the authority of the hospital (name, experience, highly qualified medical personnel) as the studies have shown that in most cases patients themselves choose the medical institution for diagnostic or therapeutic purposes due to its experience andqualified medical personnel. Based on the information received as a result of the conducted survey the following recommendationswere developed: It is desirable for the

country that existed rated assessment systems so the citizens had the opportunity to select the medical institutions.

Key search words: heart defect, health policy, factors of choosing medical institution.

მადლობა

მადლობას ვუხდით გაწეული დახმარებისთვის სამაგისტრო თემის ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამის „ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი“, ჯანდაცვისა და დაზღვევის სკოლის დირექტორს, პროფესორ თენგიზ ვერულავას.

მადლობას ვუხდით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ფაკულტეტის, ჯანდაცვის პოლიტიკისა და მენეჯმენტის პროგრამის დოქტორანტს მარიამ თურმანაულს სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში, კვლევის პროტოკოლისა და მეთოდოლოგიის შემუშავებისას გაწეული დახმარებისათვის.

ასევე, მადლობას ვუხდით კვლევაში მონაწილე მედიცინის დოქტორს გერა ლომთათიძეს და ყველა რესპოდენტს.